№ 231 12 ნოემბერი, კვირა 1866—1878 12 ნოემბერი, კვირა № 231

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელი წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივ ასოებით ახოზე—1 კაპ., ახო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ცისცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

1 ნოემბრიდამ წლის დამლევამდინ

## „დროება“

ღირს ორ მანეთად

ხელის-მოწერა შეიძლება თფილისში: რედაქციაში, სერგიევის ქუჩაზე, ივ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ქალაქს გარეშე პირთა ამ ადრესსით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

# საქართველო

## ახალი ომი

გუშინდელი ტელეგრამიდამ შეიტყობდა ჩვენი მკითხველი, რომ ინგლისს უკვე გამოუცხადებია ომი ავღანისტანის ემირისათვის; დღევანდელი დეპეშა გვაცნობებს, რომ ამ ორ სახელმწიფოს შუა ბრძოლა კიდეც დაწყებულა: ინგლისის ჯარებს აუღიათ ერთი სიმაგრე და ავღანისტანის ჯარებს უკან დაუწევიათ.

მიზეზი ომისა ვიცით: ინგლისს ეშინიან რუსეთის მიახლოვებისა ინდოეთთან და ამის გამო ავღანისტანის ემირს მოსთხოვა, რომ რუსის ელჩები გამოისტუმროს ქაბულიდამ, არ ჩაადგმევინოს რუსეთს თავის ქვეყანაში ფეხი, არავითარი პირობით არ შეეკრას იმას და თუ ამის ასრულება არ შეუძლიან, ამ შემთხვევაში ინგლისის ელჩებსაც მიეცესთ უფლება ავღანისტნის სხვა და სხვა ქალაქებში ცხოვრებისა.

ემირმა არ შეასრულა ეს მოთხოვნილება ინგლისისა. რამდენიმე ულტიმატუმი გაუგზავნა ინგლისმა, რამდენიმე სხვა-და-სხვა პირობა დაუდვა, მაგრამ ემირმა ყველაზე უარი უთხრა.

ეს არის მიზეზი ომისა.

რითი გათავდება ეს ომი—ჯერ კაცმა არ იცის. ინგლისი, რასაკვირველია, ძლიერია, მდიდარია. მაგრამ, როგორც ისმის, ემირიც ძლიერია თავის ქვეყანაში, და ეს იმის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მარჯვე საომარი ადგილები აქვს, მტრისთვის ძნელად შესავალი, ჰყავსო აგრეთვე კარგი მხნე ჯარი, განსაკუთრებით ცხენოსანი ჯარიო.

ამას გარდა რუსულ გაზეთებში პირდა-პირ იწერებიან, რომ როგორც გასულ ომში ინგლისი ჩუმად ეხმარებოდა ოსმალეთს, ისე ჩვენც (რუსები) დავეხმარებით ავღანისთანსაო, ე. ი. გამოცდილი აფიცრებით, ფულით (?), თოფიარაღით, ტყვია-წამლით და სხვ.

საქმე ისეთს მდგომარეობაშია ახლა, რომ ინგლისმა უეჭველად ყოველი ღონის-ძიება უნდა იხმაროს, რომ დაამარცხოს და დაიმორჩილოს ავღანისტანი; წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ის ენერგიულად არ მოიქცა, თუ ამთავითვე არ გამოიჩინა თავისი ძალა და ღონება, უეჭველია, იმის ქვეშევრდომი ინდოეთის მეფეები (რაჯები) და ხალხები აუჯანყდებიან და მაშინ ორ მტერთან—შინაგან და გარეგანთან—ექნება საქმე, და ვინ იცის—როგორ გათავდება ბრძოლა.

ადვილად შესაძლებელია ამას გარდა, რომ ავღანისტანთან ომს კუდი გამოება, ე. ი. სხვა სახელმწიფოებიც ჩაერიონ ამ ბრძოლაში და საკმაო იქნება ერთი რომელიმე სახელმწიფო ჩაერიოს ომში, რომ იმ წამსვე ვინ იცის მთელი ევროპა ორად გაიყოს: მაშინ ერთი მხარე ინგლისისაკენ მოგროვდება და მეორე რუსეთისაკენ...

და ნამდვილი ომი, ნამდვილი შეხეთქება მაშინ იქმნება; მაგრამ იმედია, რომ ჯერ-ჯერობით მაინც საქმე აქ შორს არ წავა...

ს. მ.

## დღიური

*** გაზეთი „კავკაზი“ გვაცნობებს რომ გამოჩენილი ავაზაკი ტატო წულუკიძე ყარსში დაუჭერიათ.

*** გუშინწინ, 9 ნოემბერს, როდესაც თორმეტი ავაზაკი მოჰყავდათ სამხედრო სასამართლოდამ, ერთი ამ ავაზაკთაგანი მიხა ქახელაშვილი მიხაილოვის ხიდთან უეცრად გაჰქრა სადღაც და თუმცა ყარაულებმა ბევრი ეძიეს, მაგრამ ვერსად მონახეს.

# ფელეტონი

## კავკასიის მთები.

რა არის, კავკაზის მთებო, რა ფერხული ჩაგიბიან?
მიგიციან ზურგი ზურგსა, მკლავი მკლავთან გაგიბიან;
შეტყუბულხართ მტკიცე ძმურად, კლდის გულები დაგიპიან,
გარდგმოგჩხერსთ წყალი წყალობის; მით გულ-ფიცხნი დაგიბიან!

თქვენ მოსულს დევ-გმირობასა უპყრია სრულად ასია!
ქართლით სვირს, პარსეთს, ინდომდის გაბმულან მრგვლივ ათასია:
ხატვენ შვენივრად ქვეყნის გულს, ხამო ძვირ საფასია!
ზოგან წევან, ზოგან სხედან, ზოგან მოყრილან ასია!

წარმოსდგომიხართ საქართლოს ვით ციხე გოდოლ პოძია,
აჰრილხართ ცამდის სიმაღლით, გორცვებზედ ხიან გორცია,
ქლდენარნი და ლადალუდა, ტყე ლრითა გასაოცია:
დაჯრილხართ ხშირად წყობ-წყობათ, სჭვრეტს პარხალსა აბოცია!

თითქოსო წარმოდგენილხართ, წარყვნის დევ-გმირთ ფესვ-ძირები,
ქრონო, არმაზი, დიდტანნი სახელოვანი გმირები;
მორწილ-ნადიმებს გქონოდესთ შექცევა, ლხინი ძვირები,
და წყალრღვნით დალუპულთ ღია დაგრჩენოდესთ მთლად პირები!!

წევხართ მოწყენით, აქა-იქ გიყენიან ყველგან მზერი;
მეტის ნაღვლისგან ქვეყნისა დაგთეთრებიათ თმა, წვერი,
გყავთ პატიმრად პრომეტეო ბრძენი მალვით დანაჭერი,
თქვით, ბევრი რამ გეცოდნებათ, წუთზედ მისგან მონაწერი!

გეხსომებათ ჩვენიც ძველი ქართველთ ცხოვრება-ყოფანი,
მამასახლისთ მმართველობა, კვლავ ხევბერთ უმანკობანი,
გმირთ გმირობა, აგრევ მეფეთ მფლობლობა, ამაყობანი,
დიდებულთ, თავადთ, აზნაურთ ბატონობა და ყმობანი!...

ვიცი მეტყვით: „მონახეთ სიძველისა ნახაზები,

ერთი ამათგანი კი, რომელიც 6 ნოემბერს გაექცა ყარაულებს და წყალში გადავარდა, როგორც ამბობენ, ყარაულებმა ხიშტები დაჰკრეს ყელში და გვერდებში და როცა დაიჭირეს, რამდონიმე საათის შემდეგ მოკვდაო.

*** ჩვენ მოგვივიდა ერთი ვრცელი რუსული წიგნი, რომელშიაც ჳმოყვანილია სრული სტენოგრაფიურად დაწერილი საქმე ნინო ანდრეევსკის ქალის მოკვლისა, რომელიც ამ წლის 1-5 მარტს განიხილა თფილისის ოლქის სასამართლომ. ამ წიგნში სიტყვა-სიტყვით არის მოყვანილი როგორც ჩქოტუების გამამტყუნებელი აქტი, აგრეთვე ყველა მოწმების ჩვენება, დამცველების სიტყვა (ტიხამიროვის კი არა), ჩვენება თვით ბრალდებულებისა, ექიმებისა და სხვ. ეს წიგნი ორ მანეთად ღირს და გაგზავნით 2 მან. და 30 კაპეიკად.

ამ წიგნს მით უფრო მომეტებული ინტერესი აქვს ახლა, რომ, ანდრეევსკის ქალის მოკვლის საქმე, როგორც ამბობენ, ამ ნოემბრის 15-ს უნდა გაიხილოს ხელ-მეორედ თფილისის სამოსამართლო პალატამაო.

ამბობენ აგრეთვე, ბრალდებულების დაცვა იკისრაო პეტერბურღის გამოჩენილ ადვოკატმა უფ. სპასოვიჩმა, რომელსაც მოჰყავს თან ექსპერტად ექიმი-პროფესორი სიროკინიო.

*** ახალქალაქიდამ (ახალციხის) გვწერენ, რომ დღემდინ ჩვენს ქალაქში აფთიაქი არ გვქონდა და ამისაგან ხალხი ძალიან დიდ გაჭირებაში იყოვო; ახლა ფერშალმა უფ. ი. ალხაზაშვილმა გახსნა თავის საშუალებით პატარა აფთიაქი და, რადგან იმას ძალიან კარგათ, საქმის ცოდნით და სინიდისიანათ მიჰყავს საქმე, იმედი გვაქვსო, რომ ის ბევრ შეღავათს მისცემს ხალხსაო.

*** იმერეთიდამ გვწერენ, რომ ბიის სოფლის მღვდლის იოანნე იოსავას ცოლი ელისაბედ იჩემებს ექიმობასაო და ვინც ამ სოფლის ახლო-მახლო გახდება ავათ, რა ავათმყოფობაც უნდა ჰყოს, ხელს ჰკიდებს, რადაც „ძაღლისყურა“ ბალახს დაალევინებს და ამ წამლით რამდენიმე კაცი და ქალი გაისტუმრა საიქიოსაო. ჩვენს კორრესპონდენტს მოჰყავს ამის დასამტკიცებლად რამდენიმე შემთხვევა.

თუ მღვდლის ცოლებიც კი ამას სჩადიან, სხვებს რაღა უნდა ვკითხოთ!.

*** გაზეთი „კავკაზი“ გვაცნობებს, რომ გასულ 26 ღვინობისთვეს დუშეთის უეზდის სოფ. საგურამოს სოფლის საზოგადოებას დაუდგენია განჩინება, რომ ამ სოფელში შკოლა გახსნან. ამ საქმეში დიდი მონაწილეობა მიუღია თ. ვ. ანდრონიკოვს, რომელსაც შკოლისათვის ადგილი დაუთმია და ამას გარდა ნება მიუცია ხალხისათვის, რომ წელიწადში თითო მოსახლემ იმის ტყიდამ თითო ურემი შეშა წაიღოს ქალაქში გასასყიდლად და აქედამ შემოსული ფული (500 მანეთამდინ იქნებაო) შკოლას მოახმარონ.

ურიგო არ იქნება ვსთქვათ, რომ ეს საგურამოს შკოლა იქნება პირველი შკოლა მთელს დუშეთის უეზდში, რომლის უფროსიც არის უფ. ი. ი. ზუბალოვი.

# უცხო ქვეყნები

## საფრანგეთი

მოგეხსენებათ, რომ გასული თვის დამლევს საფრანგეთში იყო კენჭის-ყრა იმ დელეგატებისა (ქალაქის გამგეობიდამ, მუნიციპალიტეტიდამ) რომელთაც თავის მხრით სენატორები უნდა ამოარჩიონ. ფრანცუზულს გაზეთებში დაბეჭდილის ცნობებიდამ სჩანს, რომ თითქმის ყველა პროვინციებში რესპუბლიკის მომხრე დელეგატები ამოურჩევიათ და ამის გამო ახლა სრული იმედი აქვთ, რომ ამათგან ამორჩეული სენატორები რესპუბლიკის მომხრე იქნებიანო. ამბობენ, მთავრობამ რომ თავის მხრით ყველა მონარხიელები დაინიშნოს, რესპუბლიკის მომხრე სენატორების რიცხვი სენატში ოცით მაინც გადააჭარბებს კიდევ მონარხიელებსაო.

## წერილი რედაქტორთან

—

შვალო რედაქტორო!

„დროების“ მე-218 №-ში გამოვიდა წერილი უფ. კოტე მესხისა პასუხად და საქმის ასახსნელად იმ პოლემიკისა, რომელიც ატყდა „ივერიის“ მე-39, 41 №-ში *) ჩემსა და ვიდაც ი—აძის შუა, რომელიც მაბრალის 400 მან. ჩაყლაპვას.

სინამდვისინ დაწვრილებით უპასუხებდე უფ. კ. მესხის წერილს, უძღვენი მას შემდეგ შენიშვნას.

მე მეგონა, რომ მარტო ი—აძეს შეეძლო მის გაუგებარს საქმეზედ ლაპარაკი და ქუჩის ბიჭივით ლანძღვა, მაგრამ უფ. კ. მესხი, რომელმაც ძალიან კარგათ უნდა იცოდეს ამ საქმის ყოველივე გარემოება და ეგრეთ ლაპარაკობს, ეს კი აღარ მესმის და ვკვირობ თუ ვინ ან რამ აიძულა ამ ნაირად მოქცევა!

ის ამბობს თავის წერილში, ვითომ ჩემი სიტყვები „მსუქანი ტყვილებია“. ეს ბოლოს გამოჩნდება და მისი სიტყვები, რომ კი სკელეტია, რომელიც ერთის სულის წაბერვით დაიფუშება, ამას მე უფრო დაუმტკიცებ საქმის გაშინჯვით, ვიდრე ის თავის ორპირობას მისის მოწმებით.—ეხლა მოისმინეთ:

*) წერილი ჩემი, ფოთიდამ, „ივერიაში“ 41 №-ში საჭიროებს გასწორებას, რადგან უქონელობისა გამო ყველა საბუთებისა მომივიდა ორი შეცდომა:

1) ვამბობ: სამეფო სახლი იყო ჩვ ნს ხელში 15 თვე, 28 აგვისტოდამ 1875 წ. ნოემბრამდე 1876 წ.; უნდა იყოს: 12 თვე. 4 ნოემბრიდამ 1875 წ. 7 ნოემბრამდე 1876 წ.

2) წერილზედ ასვია რიცხვი 10 სექტემბერი. უნდა იყოს: 10 ოქტომბერი.

ი. ა.

„კლდეთ, კლდე-კართა, ბალავართა და მთა-ბართა მაღაზები,
„ქვის ძეგლები, კარკნალები, გინდ ციხე ტაძრებთ ხასები;
„თუ მიხვდებით, გეყოფა საუნჯედ ძვირ საფასებათ!..“

—

ქაცთ ტომი მოვალს და მავალს ვით სიზრმისა ჩრდილებია,
ერთვის წუთზედ დიდთ თუ მცირეთ, ბამბის ქულის ფრთილებია,
დევ-გმირთა ჰსჯობს უსუსურნი, სწავლაში დაზრდილებია:
ერთ პირობა თუ ჰყავსთ მეფედ, ჰსძლევენ მტერთ ნამდვილებია!!!

ვინმე მესხი

1869 წ., 1 იანვარს

—

## დროება

—

ტრიალ ცას თვალი მოვავლე, ანათებ, და მზე და მთვარეზე ვარსკვლავნი დაჭრილიყვნენ, დაეჭირათ არე-მარე!
ქაცი კაცით, ლობე ქაცვით; თუ აგრეა, მოდი ბარე:
ძმა ხარ, ძმურებ მომეკიდე; თუ არა და გადი გარე!

—

ციდგან ტრედი მოფრინავდა, მე მეგონა ალალია,
დავკვირდი უმანკო იყო, მართალი და ჰალალია!
ღმერთი გულს ჰხედამს, კაცი პირს, შავია თუ ძოწ-ლალია?
თვალი სარკე არს გულის, სჩანს ნამდვილი და ვალალია!

—

ხმელეთი მრთლად დავიარე, მომეწონა მცენარები,
მთის ყვავილი, ბაღის ვარდი, ნამყენ ვაზნი ხევნარები...
ჰყვავი, ვარდებრ გაიშალე, იმყენ ზნენი ზენარები,
ვაზი ხარ, სული დაატკბე: მოისპე მოწყინარები!...

—

ვნახე შავი ზღვა აემღვრია მეტის მეტსა ნიავ-ღვარსა!
თევზებს სარკმლები დახშოდათ, მოსდგომიყვნენ ერდო კარსა!
წყალი ნაკვლევს არ დაავდებს, ნურც შენ თვის ტომ, მამულს, გვარსა.

ვინმე მესხი

1870 წ., 5 მარიამობისთვეს

1876 წ. 22 ივნისს სამეფო სახლში თითქმის ყველა ჩვენი წრის წევრებმა შაიყარეს თავი და მომთხოვეს ანგარიში იმ ფულებისა, რომელიც შემოვიდა ამ სახლის ზალის ქირიდამ. (კიდევ ვიტყვი, რომ წარმოდგენების ფული ჩემს ხელში არ ყოფილა). იმავ წამს წარვადგინე ანგარიში, რომელიც განიხილეს უფ. ივ. ჯაიანმა და დავ. ლორთქიფანიძემ; მათ ხმა-მაღლათ წაუკითხეს წრეს და ერთხმათ მიიღეს იგი. ანგარიშის საქმე რომ გათავდა, განუცხადე მათ, თუ საჭიროდ ჰობდნენ მიეღოთ ფული, მაგრამ წრემ უარი მიყო და ფულები ისევ ჩემთან დარჩა.—

ამის შემდეგ, წრეს ერთობით ჩემთვის არავითარი ანგარიში არ მოუთხოვია. უ. პოტე მესხს ჩემდა-დაუსწრებლად შეეძლო ათჯერ მოეხდინა დღეში ყრილობა, ეგ ჩემი საქმე არ არის. ჩვენი წრე დიდი ხნის დაშლილი იყო, როდესაც ცალ-ცალკე მოდიოდნენ და თხოულობდნენ ფულებს, მაგრამ არ ვაძლევდი.

უფ. პ. მესხი ამბობს, ვითომ მე ვითხოვე დრო ანგარიშის ჩასაბარებლად და როდესაც დამიბარეს, არ მივედი. ერთი მიბრძანოს, როდის, სად და ვინ გამოგზავნეს? მართალია, ამ ორი თვის წინათ უფ. მესხი მოვიდა ჩემთან წრის მაგიერათ და მომთხოვა ანგარიში და ფულები. თუ არ გადაფიცავს, ჩემი პასუხი ეს იყო:—დიდის სიამოვნებით, მხოლოდ განსაშორებელად ყოვლის მომავალის განგაშისა და მიეთმოეთობისა, რომელნიც მეტად ხშირია ჩვენში, გთხოვეთ, როგორც საბუთი, ეგ თქვენი წინადადება დაგეწერათ და ზედ ხელი მოგეწერინებიათ ყველა ქუთაისში მყოფთ ძველი წრის წევრებთათვის, მაშინ ყოვლის უარის უთქმელად მიიღებდით კმაყოფილებას. თუმცა თქვენ მაშინ სრული თანახმა გამიხდით, მაგრამ ეს დღე და ის რომ ჩემთვის არაფერი წერილი გიბოძებიათ.—ამას თქვენ მოგახსენებთ, უფ. პ. მესხო, და გკითხავთ: განა თქვენ მართალი ხართ?!

დღეს წავიკითხე „დროებაში“ სია იმ პირებისა, რომელნიც თხოულობენ ანგარიშს, ბევრად უკეთესი იქნებოდა ეგ სია ჩემთვინ მოეტანათ, აქამდის საქმე გათავებული იქნებოდა. რატომ მე არ მომიტანეთ ეგ სია? რატომ ისე არ ლაპარაკობთ როგორც იყო საქმე?—ამასთან უნდა გითხრათ, რომ ეგ სია სრული არ გახლავსთ, მანდ ბევრნი აკლია იმ წევრთაგანი, რომელნიც ეხლაც დ ნიადაგ ქუთაისში იმყოფებიან და არც იმას ლაპარაკობენ, რასაც აბრალის მათ უფ. მესხი. აი დანარჩენ წევრებთა სია: კ—ნა ბ. ნაკაშიძისა, მ. ბ. ხელთუფოვისა, ე. მ. ლორთქიფანიძისა, ან. ნიკოლაძისა, ალ. მრევლოგისა, ვ. აბაშიძისა, უ.უ. თემურაზ ლეჟავა, ზ. ჭეიშვილი, დავ. ლორთქიფანიძე, მ. პეტრიაშვილი და სხვანი. თუმცა პირველად უწერია უ. პ. მესხს სიაში ალ. ჭიჭინაძე, მაგრამ ჩვენი წრე არც ფიქრობდა დაშლას, როცა მან მიატოვა იგი.

რაც შეეხება ახალს წრეს, იძულებული ვარ კიდევ ვსთქვა, რომ მას არავითარ ანგარიშს არ მივსცემ; ის არაფერს შეადგენს, რომ ძველი წრის წევრები გადავიდნენ იქ.

თქვენ ბრძანებთ, ვითომ ფულების მიუცემლობით ვაღალატიანებდი თქვენს წრეს. თუ მე არაფერი მოგეცით, რატომ მათ არ მიძართეთ, რომლებსაც თქვენის აზრით 800 მანეთი აქვთ თეატრის ფული, და მე თუ რა ნაირათ გაბრკოლებდით, ის ეკითხოს ოლ. წერეთლისას, რომელიც მობრძანდა ჩემთან წრის მაგიერად ფულების თაობაზედ. მე სრული თანხმა ვიქნები მის ჩვენებაზე. ან კი რათ უნდა ახალ წრეს ფულები; რაც ჰქონდა, ისიც უბრალოთ გაფლანგა და არ იცით ვის დააბრალოთ თქვენი ფაცა-ფუცობა. რას ატყდით ამ ნაირათ ჩემზედ, სადაც საქმე ისეა, რომ ღირსეულ კაცებისაგან მადლობას ველი, როცა საქმე აიხსნება...

ამ ფულების გზას მევე გიჩვენებთ და იმასაც გეტყვით—თუ როდის მიიღებთ,—მარტო წრესთან არა მაქვს საქმე, ოფიციალურის ქაღალდით ვართ შეკრულნი ადმინისტრაციასთან, რომლის ძალითაც ყოველი წარმოდგენისათვის ხუთ-ხუთი მანეთი უნდა გაეგზავნოს აქაურს უფასო შკოლას; მათ ყოველივე წარმოდგენა უწერიათ საქმეში და შეგიძლიათ, როდესაც ინებებთ, განიხილოთ, გაშინჯოთ იგი და დარწმუნდეთ—თუ როგორ მიმყავდა საქმე.—ბარდა სამეფო სახლისა ჩემს ხელში, ჩემს ბეჭედს ქვეშ და განკარგულებაში იყო რამოდენიმე ათასი მანეთის საღირალი ნივთები, რომელნიც დაუკლებლად დაუბრუნე მართებლობლობას, და ისე როგორ გამიწყრება ღმერთი, რომ ორიოდე მანეთის ანგარიში ვერ მოგცეთ.

სხვათა შორის უფ. პოტე მესხს შემოაქვს ეჭვი ჩემს გაგზავნილ ანგარიშზე „ივერიაში“ და თხოულობს უფრო დაწვრილებითს.—რადგან მე ერთხელვე ნათქვამი მაქვს, რომ წრე განიხილავს ყველა ანგარიშს და საბუთებს და ამასთან მასაც სურს ხუთის კაცის ამორჩევით საქმის ახსნა, მე აღარ ვრაცხ საჭიროდ მის გაგზავნას. ბევრად უკეთესია ამორჩეულმა კაცებმა წარმოსთქვან, როცა ჯერ არს.

უ. პოტე მესხი ამბობს, რომ „ჩვენის ანგარიშით 800 მ. უნდა მოიბოჭოსო თეატრის ფულებიო.“ სხვისი რა მოგახსენოთ, და როგორც მახსოვს 80 მ. ჰქონდა უფ. ალ. ჭიჭინაძეს და უფ. პოტე მესხს რამდენიმე წელიწადია, და არ იქნება ურიგო წარმოადგენდნენ როგორც ისინი ისე სხვანიც, ვისაც კი რამ აბადია თეატრისა. შადგილოთ არ ვხედავ მოგახსენოთ შემდეგი:—სანამდისინ სახელდობ არ იტყვიან თუ ვის აქვს კიდევ თეატრის ფულები და მათ ანგარიშს არ წარმოადგენენ, მანამდისინ ერთ ფარასაც ვერ მიიღებენ ჩემგან, რადგან მეც შემიძლია შემოვიტანო მათზედ ეჭვი და როგორც ერთი წევრთაგანი მოვითხოვო ანგარიში.

უფ. ი—ძის აზრით, ერთის წლის განმავლობაში 400 მ. ჩავყლაპე. და სხვებმა ალბათ ხუთის და ექვსის წლის განმავალობაში კიდევაც მოინელეს და ერთი მითხრას უფ. პ. მესხმა—თუ... რაღა უნდა ამოიგოს ახალმა წრემ?

რაც შეეხება იმ 250 მან., რომელიც დღეს ჩემს ხელშია, იქიდამ 85 მ. პირობისამებრ ერგება აქაურს უფასო შკოლას; თუ აქამდენ არ გაეგზავნა, ისიც თქვენი ბრალია, უფ. პ. მესხო, რადგან წრეს უნდა გაეგო ანგარიშის დროს—თუ რამოდენი ერგებოდა შკოლას. დღეს რადგან საქმე გაგრძელდა, ამიტომ მე აღარ ვიცდი და ვგზავნი ზემოხსენებულს 85 მ. კუთვნილობისამებრ, დაანარჩენს 165 მ. კი თფილისის ბანკში ვაბინავებ და როდესაც ის ხუთნი პირნი სხვა დანარჩენს თეატრის ანგარიშს და ფულებს შეკრებენ, მხოლოდ მაშინ მიღებენ ჩემგან ფულებს, და ანგარიშს კი ყოველ დღე.

უფ. რედაქტორო, ვათავებ ამ ჩემს ამ საქმის თაობაზედ უკანასკნელს წერილს მით რომ, ვსთხოვ უფ. პ. მესხს საჩქაროდ დასახელოს ის ხუთნი პირნი, რომლებმაც უნდა მიიღონ ჩემგან ანგარიში, რადგან სულ ამ საქმისთვის არ მცალიან.

უფ. ანტ. ლორთქიფანიძე და ივანე მესხი დიდი ხნით გამოწვეულები ბრძანდებიან. თუ ნებავსთ, პასუხიც შეუძლიათ.

ივანე აბაშიძე

1 ნოემბერი, ქუთაისი

---

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბომბეი, 9 ნოემბერს. ინგლისის ჯარებმა თოფის გაუსროლელად დაიჭირეს ავგანისტანის ციხე ქაპიონი, რადგან მტერმა წინათვე გაიყვანა ამ ციხიდამ თავის ჯარები.

ბომბეი, 9 ნოემბერს. ქვეტიდამ მომავალი ინგლისის ჯარები ქუშალაკში მოვიდნენ ქვეტიდამ ათს მილზედ; ძალიან ცივა; ყოველ პოლკში ას კაცამდის არის ავათმყოფი. ბელუჯისტანში მყოფმა ბრიტანიის აგენტმა სენდემონმა ბელუჯისტანის მთავრობას წარუდგინა საინგლისო ინდოეთის ვიცე-კოროლის პროკლამაცია, რომელშიაც გამოცხადებულია, რომ ინგლისი იარტო ავგანისტანის ემირს ეომება.

ლონდონი, 10 ნოემბერს. ლაგორიდამ იწერებიან: ქურუმის კალონამ აიღო ამაჯუნის ციხე. ინგლისის ჯარები ალიმესჯიდში მოვიდნენ, დააწყეს ზარბაზნები და სროლა დაიწყეს. მტრის ზარბაზნებიც მარჯვედ აძლევდნენ პასუხს.

### პეტერბურღის ბირჟა, 11 ნოემბერს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოხი)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემის | 97 | „ |
| მეორესი | 95 | 50 |
| მესამესი | 95 | 38 |
| მეოთხესი | 95 | 25 |
| აღმოსავლეთის | 92 | „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 8 | 38 |
| ტფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი | „ | „ |
| შინაგანი 5% სესხის ბილეთები: | მან. | კაპ. |
| პირველი სესხის | 234 | 50 |
| მეორე სესხის | 228 | 50 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 23 | 50 | პენსი |
| ამსტერდამი | 118 | „ | ცენტი |
| ბერლინი | 200 | 25 | პფენიგი |
| პარიჟი | 246 | „ | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი | „ | „ | |

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება ა. თუთაევის სამ-მოქმედებიანი კომედია; „რძალი, მული და მაშენიკები“,—ტფილისში: ბრიქულოვის, ვართანოვის და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში,

ვლადიკავკაზს: გიორგი ბარათოვთან, გორში: ზაქარია დონდაროვთან, ცხინვალში: თ. ვანო თაქთაქოვთან, საქაშეთს: თ. ნიკო ღიასამესწის მეჯვრისხევს: მასწავლებელ მოსე ნათაძესთან, ქუთაისს: კ. მესხის წიგნის მაღაზიაში და დ. ბოკერიასთან, სამტრედიას: იორდანე სიხარულიძესთან, ფოთში, ელიზბარ ბაბალოვთან.

ამავე პირებთან ისყიდება ამავე თუთაევის მეორე კომედია.—„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

(6—1)

**დაიკარგა ცირკის ძაღლი,** ნაცრისფერი თეთრი ნიშნებით, ყელი თეთრი, წითელი ლენტით შემოკრული.

ვინც ამ ძაღლს მოიყვანს, კარგს საჩუქარს მიიღებს.

(2—1)

ქალაქის გამგეობისაგან

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამ წლის ნოემბრის 15-ს, იმის თან-დასწრებით, იქნება ვაჭრობა (ტორგი) მომავალი 1879 წლისათვის 280 **საჟენისა 1** არშინისა და 5 ვერშოკის სამ-ნაპობიანის **შეშის მოტანაზედ** მეტეხის, ქალაქის საპყრობილისა, უმთავრესი საპყრობილისა თავის კარცერებით და ჟანდარმის გამგეობისათვის თავის ცხენოსან ჟანდარმების კამანდით.

(3—2)

ლექსები

# „სიყვარული“

შედგენილი ანთ. ჯუღელისაგან გამოვიდა და იყიდება ტფილისში ჩარკვიანის, ვართანოვის, ბრიქულოვის და სხვა წიგნის მაღაზიებში და „ივერიის“ რედაქციაში. სამეგრელოში დ. სუჯუნას ბ. თოფურიძის დუქანში და აბაშის სტანციაზე პ. მელიქოვის დუქანში, ზესტაფონს ჩუბინიძის და კოსტაევას დუქანში.

**ფასი** ორი შაური. ოცს ეგზემპლიარს ვინც იყიდის ერთად, მას თითო ეგზემპლიარი დაეთმობა რვა კაპ. მეტს ვინც იყიდის იმას შვიდ კაპეიკათ.

(2—2)

იქავ ისყიდება იმისივე

# „იბამ-არაკნი“

გამოკრებილნი საბა-სულხან ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუიდამ“ და გალექსილი თ. რაფ. ერისთვისაგან.

**ფასი ორი შაური.**

### ვართანოვის წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

**დედა-ენა,** ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახალხო შკოლებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, მეორე შესწორებული გამოცემა. ფასი ექვსი შაური, ყდაში გადაკრული ცხრა შაური. თუ რომელიმე შკოლა იყიდის ერთათ ოც-და-ათ ეგზემპლიარსა, ან რომელიმე კერძო პირი ასსა, ეგზემპლიარი დაეთმობა უყდო ხუთ შაურათ, ყდიანი ორ აბაზათა.

**ბუნების კარი,** ანუ საკითხავი წიგნი, დაბალ კლასებში სახმარებელი, მესამე გამოცემა, შევსებული და შემკული სურათებით და საქართველოს კარტით; ფასი ხუთმეტი შაური. ეგზემპლიარი დაეთმობა თოთხმეტ შაურათ, ვინც ერთათ იყიდის თხუთმეტ ეგზემპლიარსა,—ცამეტ შაურათ, ვინც ერთათ წაიღებს ოც-და-ათ ეგზემპლიარსა და სამ აბაზათ ასი ეგზემპლიარის ერთათ მყიდველსა. ვისაც ეს წიგნი ყდაში გადაკრული უნდოდეს, უნდა ამ ფასს დაუმატოს სამი შაური.

**საყმაწვილო კონა** პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდგან, გამოცემა პირველი, ფასი ექვსი შაური.

**პატარა ბიბლიოთეკა,** პირველი წიგნი, შეიცავს სამს საყმაწვილო მოთხრობასა; ფასი ორი შაური.

აქვე ისყიდება ყველა ქართული და რუსული სახელმძღვანელო წიგნები. (10—2)

| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში | 3 | 50 |
| ინგლისში | 3 | 75 |

ფოსტა

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს— ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთის კენ— ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნის | 4 |
| დახ ჭდილის (ხამი მისხალი) | 8 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| ტფილისი, 9 ნოემბერს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 80 |
| ფქვილი წითელი | 1 | 50 |
| ქერი ფუთი | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი | 6 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი | 7 | 30 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფუთი | 8 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი | 4 | 40 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი | 5 | 40 |
| ქონის სანთელი ფუთი | 7 | 50 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 40 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 81 |
| —ცხვრისა, ლიტრა | — | 81 |
| სპირტი ვედრო | 4 | 80 |
| შაქარი, ბროც. ფუთი | 7 | 40 |
| —ფხვნილი ფუთი | 6 | 20 |
| ყავა გრგვ-ლი, გირვ. | — | 70 |
| ჩეთი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 60 |

### ტფილისის სამკურნალო.

ერევნის მოედანზე, წ. ნამძღვარიშვილის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ორშაბათს:** ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—საჯარო ექიმი და საშვილოს ოპერაციები.

**სამშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

**ოთხშაბათი:** ვერმიშევი შინაგანი.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პარასკევს:** ვერმიშევი—შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო ქალისა და ბავშვების.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

*Дозвеолно цензурою. Тифлисъ 11 Ноября 1878 г. Типографія Меликова.* გამომცემ. ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.